პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 121 (12329)

პარასკევი, 25 მაისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

ვადიდოთ კომუნიზმის მშენებელთა შრომა

ათასობით გაზეთი და ჟურნალი გამოდის ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი პრესა ნამდვილად სახალხო პრესაა: მისი ფურცლების გმირები, მისი მუდმივი ავტორები ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელია.

გაზეთის ფოსტა ყოველდღე გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ გიგანტურ მუშაობაზე, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად. მსხვილი სამრეწველო ცენტრების გაზეთები, საქართველო მრავალტირაჟიანი გაზეთები ბეჭდავენ გამოცდილებას მოსკოვის მანქანათმშენებელი ქარხნის ბრიგადის კომუნისტური შრომის კოლექტივის მოწოდებაზე: „ყოველი საათი, ყოველი წუთი მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებლობას“. უკრაინის რესპუბლიკურ, საოლქო, სარაიონთაშორისო გაზეთებში ვკითხულობთ, რომ იმართება მასობრივი რეიდი რესპუბლიკის მუშაკორებისა და სოფლკორებისა, რომლებმაც დაიწყეს ლაშქრობა იმისათვის, რომ უკრაინამ მილიარდი ფუთი სიმინდის მარცვალი მოიყვანოს.

პრესა ფართოდ უჭერს მხარს მასების ინიციატივას, შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი რეზერვების ძიებას. ამას წინათ წარმოიშვნენ „კომკავშირული პროექტორის“ რაზმები, რომელთა პირველ ნაბიჯებს აშუქებს ახალგაზრდული პრესა. გაზეთები „სოვეტსკაია როსია“, „მაგნიტოგორსკი რაბოჩი“ და სხვები ფართოდ ასახავენ საზოგადოებრივ კონტროლიორთა მუშაობას. სულ უფრო ვითარდება პრესის მუშაობის მასობრივი ფორმები — მუშსოფლკორთა რეიდები, საგუშაგოები წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. შესაძრნევად უფრო აქტიური ხდებიან კედლის გაზეთები.

შვიდწლედის მესამე წლის გაზაფხულის ამ დღეებში დაიწყო მოქმედება საბჭოთა პრესის ახალმა მებრძოლმა რაზმმა — სარაიონთაშორისო გაზეთებმა. მთელ პრესასთან ერთად მათ უნდა იბრძოლონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მატერიალური წარმოება ადამიანის საქმიანობის გადამწყვეტი დარგია. სწორედ ამიტომ პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის ღონისძიებანი ხმარდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ტექნიკური პროგრესის მომწიფებული საკითხების გადაჭრას.

კომუნისტურ მშენებლობაში მთავარი და გადამწყვეტია კონკრეტული საქმეები, შრომა მილიონობით ადამიანისა, რომლებიც საზოგადოების მატერიალურ დოვლათს ქმნიან.

„პრესის საპატიო მოვალეობაა, — ამბობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, — დარაზოს ხალხის ენერგია, მთელი ჩვენი რესურსები გეზგიან დასალაგებათა შესრულებისათვის საბრძოლველად, იმისათვის საბრძოლველად, რომ თვითეული საბჭოთა კოლექტივი, თვითეული ადამიანი დღითიდღე უკეთ მუშაობდეს. სულ უფრო მეტი ფვლილი შეჰკონდეს კომუნისტური საზოგადოების შექმნის საქმეში.

კომუნიზმს ქმნის საბჭოთა ადამიანების შრომა. პრესა მოწოდებულია ადიდებდეს კომუნიზმის მშენებელთა შრომას და ეფეთოდეს ულმოგელ ბრძოლას ზარმაცებისა და მუქთახარებს წინააღდეგ.

ჩვენი პრესის დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა არჩევდეს და პროპაგანდას უწევდეს ყოველივე საუკეთესოს, მოწინავეს ჩვენი ქვეყნის საბარმო ძალების განვითარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში, ავრცელებდეს და ამრავლებდეს კომუნისტური შრომის ნიმუშებს, ხდიდეს მათ მილიონთა კუთვნილებად.

საბჭოთა რომ საბჭოთა პრესა კვლავაც წინდად იცავდეს და ამრავლებდეს ლენინურ ტრადიციებს, ყოველთვის იყოს ნამდვილად სახალხო ტრიბუნა, მებრძოლურად ეხმარებოდეს პარტიას, ხალხს — გადაჭრან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, ახალი, კომუნისტური საყაროს ადამიანის აღზრდის ამოცანები“.

მკითხველი დღეს იღებს „პრავდის“ მეოქვსმეტეათასე ნომერს. ეს არის გაზეთის ჩვეულებრივი ნომერი, რომელშიც ასახულია დღის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე, ნაჩვენებია შრომა შვიდწლეულის მშენებლობებზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში.

24 მაისის მოწინავე

„პრავდის“ სათავეებთან იდგა მშრომელთა საყვარელი ბელადი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოსული „პრავდის“ თექვსმეტი ათასი ნომერი რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური გარდაქმნების, დიდი სამამულო ომის წლებში, საბჭოთა ხალხის თავდადებული მამაცობისა და უკვდავი გმირობის სახელოვანი მატიანეა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მატიანეა. ამ ფურცლებზე ალბეჭდილია ჩვენი ეპოქის დიადი ისტორიული მოვლენები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ძლავრი სოციალისტური ბანაკის მოძმე ქვეყნებში.

ჩვენი პრესა ყოველდღე ფართოდ ასახავს იმას, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, სულ უფრო აქტიურად იჭრება ცხოვრებაში, ხელს უწყობს ახლის, მოწინავის ჩამოყალიბებას.

პარტიის მოწოდება — ულმობლად ვაკრიტიკებდეთ იმათ, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება მეურნეობის გაძღოლას, და იმათ, ვინც „მუნდირის ღირსების“ დაცვისათვის არსებითად ფარავს ასეთ ადამიანებს, რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, — პირდაპირ მომართულია პრესის ორგანებისადმი. კიდევ უფრო მტკიცე ბრძოლა ვაწარმოოთ ბიუროკრატთა, კონსერვატორთა, კრიტიკის ჩამხშობთა წინააღმდეგ. ფართო აქტივზე დაყრდნობით საბჭოთა პრესა მწვავედ უნდა აკრიტიკებდეს კომუნისტური მშენებლობის ცალკეულ უბანზე არსებულ ნაკლოვანებებს, აღწევდეს ნაკლოვანებების სრულ და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში გაზეთ „პრავდისა“ და საბჭოთა პრესის ყველა მუშაკისადმი „პრავდის“ 50-ე წლისთავის გამო ნათქვამია: „პრავდის“, მთელი საბჭოთა პრესის საპატიო მოვალეობაა კვლავაც დაუცხრომლად, მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით შეჰქონდეთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რაზმავდნენ და წარმართავდნენ ხალხის შემოქმედებითს ძალებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად, გაბედულად უბერდნენ მხარს ყოველივე მოწინავეს და პროგრესულს, გადაჭრით ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდნენ მათს აღმოფხვრას. საბჭოთა უურნალისტების საპატიო მოვალეობაა აქტიურად განმარტავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მთელ თავიანთ ძალღონეს იხმარდნენ ბრძოლას მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის“.

საბჭოთა პრესა ყოველთვის ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ყველა ქვეყნის შრომელთა ძმური სოლიდარობის ძლევამოსილი დროშისა. ჩვენი პრესის ყველა მუშაკი, ყველა მისი აქტივისტი პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწენი და დამხმარენი არიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კვლავაც ვიაროთ წინ ამ სახელოვანი დროშით, ნაყოფიერად ვიშრომოთ ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

მოსკოვი, 23 მაისი. (საკდესი). კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობას განაგრძობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების V სრულიად საკავშირო ყრილობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნინეიშვილმა, ლენინგრადის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გ. დოლგობოროდოვმა, სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კ. კოკინაკინ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ნ. რომანოვმა, ბელორუსიის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვ. ნ. სავინმა და სხვ.

ყრილობას მიესალმნენ: ჩინეთის სახალხო თავდაცვით-სასპორტო საზოგადოების სახელით — სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სამხედრო ატაშე ამბ. პან ჯენ-უ, ბულგარეთის თავდაცვის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის. სახელით — ამბ. სტოიუ სტოევი, უნგრეთის თავდაცვით-სასპორტო კავშირის სახელით — ამბ. ლასლო ვარკონი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცენტრალური კომიტეტის სახელით — ამბ. ფუნგ ზუ ფენი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის მარშლები კ. კ. როკოსოვსკი, ს. მ. ბუდიონნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. რ. მინეროვი.

მოსკოვი, 24 მაისი. (საკდესი). დღევანდელ კამათში პირველი გამოვიდა ქალაქ ხარკოვის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოვის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ო. ი. ბაბკინა. მუშაობის გამოკვლევების შესახებ ილაპარაკა აზერბაიჯანის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. მ. ჯავადოვმა და სხვ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

(საკ. კორ.). საბჭოთა ხალხი მეურნეობას შეემატება რუსთავის მარკის კიდევ ერთი ახალი პროდუქცია. ამ დღეებში ცემენტის ქარხანამ აითვისა სულფატმდგრადი ცემენტი, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ ენგურჰესის მშენებლობაზე.

ცემენტის ეს სახე იმით არის აღსანიშნავი, რომ მაღალმარკიანია და კარგად უძლებს ყოველგვარ ბუნებრივ პირობებს. იგი იხმარება კაშხალებისა და ისეთი მშენებლობებისათვის, რომლებიც წყალქვეშ მიმდინარეობს.

ჯერჯერობით ახალი პროდუქცია კვლავ გამოცდის პროცესშია. ასლო მომავალში ქარხნის კოლექტივი მასობრივად დაიწყებს ამ პროდუქციის გამოშვებას.



ᲒᲣᲨᲘᲜ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

მახარაძე. ყოველდღიურად ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაწინაურდა სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის წევრი ფირუზა კოსტავა. მან ერთ დღეს მოკრიფა 95 კილოგრამი, ხოლო მაგული რუსიეშვილმა 89 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ჩოხატაური. ნინო კოტრიკაძემ სოფელ გორაბერეეულის კოლმეურნეობაში მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრმა ეთერ მამალაძემ — 90 კილოგრამი.

ზუგდიდი. ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში ნაყოფიერად მუშაობენ ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში ნაკისრი ვალდებულებების შეასრულებლად. ყოველდღე იკრიფება 520-530 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ნორა პატელიანმა ერთ დღეს მოკრიფა 138 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრმა ეთერ კიკალიშვილმა — 125 კილოგრამი, ინგირის საბჭოთა მეურნეობაში ნანული ბუკიამ — 80 კილოგრამი.

ხობი. სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახელოვანმა მეჩაიემ ტანია მიქავამ ერთ დღეს მოკრიფა 96 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო ლენა შამათავამ — 75 კილოგრამი.

ᲐᲗᲝᲒᲘᲗ ტონა ფოთოლი ჩააბარეს ჩაის ფაბრიკას ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მკრეფავებმა. წელს მეურნეობის კოლექტივმა იკისრა სახელმწიფოს ჩაბარება ნაცვლად 2.268 ტონისა 2.318 ტონა „მწვანე ოქრო“.

სურათზე: მკრეფავი ე. ბასილაია ყოველდღიურად ორ ნორმას ასრულებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

ნულუკიძე. (საკ. კორ.). აქ მიღებულია სასარგებლო ცნობა, რომ აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის კოლექტივმა წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მესამე ადგილი და 3.500 მანეთი ფულადი პრემია მოიპოვა საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფეიერებმა აპრილში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და თვის დავალება 104,3 პროცენტით გაანაღდეს. განვლილ ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 149.500 მანეთის პროდუქცია. გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის ნაგრები აბრეშუმის ძაფის გამოშვება გაიზარდა 1,8 პროცენტით. დაზოგილია 712 კილოგრამი პარკი და 229 კილოგრამი ძვირფასი აბრეშუმის ძაფი. თვითღირებულების შემცირების გზით ეკონომიის ფონდში შეტანილია 10.600 მანეთი.

მისნი ყველას უსწრებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც რუსიკო სანოძე, ეთერ შალამბერიძე და ნათელა ორლოვა ხელმძღვანელობენ. ფეიერები ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად, რიტმულად და უწუნოდ მუშაობს რკინიგზის ზესტაფონის სადგურის კოლექტივი. მან შვიდწლეულის მეოთხე წლის პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის ზეგით გადაზიდა 333 ათასი ტონა ტვირთი.

სადგურის კოლექტივმა გაიმარჯვა ამერკავკასიის რკინიგზელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან მიეკუთვნა პირველი ადგილი, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ამ დღეებში საზეიმოდ გადაეცა სადგურის კოლექტივს. ზესტაფონელი რკინიგზელები წარმატებით განაგრძობენ შრომას, კვლავ დაუღალავად იბრძვიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

ნულუკიძე. (საკ. კორ.). აქ მიღებულია სასარგებლო ცნობა, რომ აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის კოლექტივმა წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მესამე ადგილი და 3.500 მანეთი ფულადი პრემია მოიპოვა საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის“.

საბჭოთა პრესა ყოველთვის ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ყველა ქვეყნის შრომელთა ძმური სოლიდარობის ძლევამოსილი დროშისა. ჩვენი პრესის ყველა მუშაკი, ყველა მისი აქტივისტი პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწენი და დამხმარენი არიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კვლავაც ვიაროთ წინ ამ სახელოვანი დროშით, ნაყოფიერად ვიშრომოთ ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მიმართავენ ნ. ს. ხრუშჩოვს გულითადად მიულოცა შესანიშნავი საწარმოო წარმატება კემერეოოს სახალხო მეურნეობის საბჭოს „სამხრეთ ჩერტინსკაიას“ შახტის კომპლექსურ ბრიგადას. ამ ბრიგადამ აპრილში ვზწრაპირიანი ქვანახშირის კომბაინის საშუალებით ამოიღო 50.211 ტონა კოქსადი ქვანახშირი. კომბაინთა მუშაობლობის ასეთი დიდი მაჩვენებელი ჯერ არ ჰქონია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიმართავს მეშახტეებს და თავის მისალმებაში წერს: „თქვენი მიღწევა ღირსეული წვლილია სკკპ პროგრამის განხორციელების საქმეში ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის და მაგალითია, რომელიც ცხადყოფს, თუ რა დიდი შესაძლებლობანი და რეზერვები აქვს მოწინავე სამამულო სამთო ტექნიკით აღჭურვილ ქვანახშირის მრეწველობას.

გამოვთქვამ რწმენას, რომ მეშახტეებისადმი თქვენს მოწოდებას — გაშალონ შეჯიბრება სამთო ტექნიკის სრული გამოყენებისათვის და ამ საფუძველზე უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირება — მეხურვალედ გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ყველა აუზში“.

თავიანთ წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კომპლექსური ბრიგადის მაღაროელები ნ. მალიუტინი, ვ. ზილევი, გ. გიბადულინი, ა. კირიკი, დ. კუზმინი, ს. სამბურიკოვი, მ. უფიმცევი, ი. ბერსენევი იტყობინებიან, რომ კუზბასის მეშახტეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამით, ჩაებნენ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების ყველი ღონისძიებით გადიდებისა და ქვანახშირის ამოღების გაზრდისათვის. კუზბასის მოწინავენი მოუწოდებენ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ყველა აუზის მეშახტეებს ფართოდ გაშალონ შეჯიბრება სამთო ტექნიკის სრული გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ᲖᲣᲠᲬᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის კარდანახის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ხიმინდის ნათესების კულტივაციას შეუდგნენ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲚᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

მოსკოვი, 24 მაისი. (საკდესი). მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობის თავმჯდომარემ მოდიბო კეიტამ და მისმა თანამგზავრებმა დაიწყეს დღეს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში.

დილით მალელი სტუმრები თვითმფრინავ „ილ-18“-ით ტაშკენტს გაფრინდნენ. მათთან ერთად გამგზავრა მალის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მამადუ ფადიალა კეიტა.

საპატიო სტუმრს თან ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიტრესეი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლჩკოვი, არმიის გენერალი ს. გ. პოპლავსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ი. ს. სპიც

პარტიული ცხოვრება

ადამიანებთან

პარტორგის მუშაობის პრაქტიკიდან

ახლა აქ ყველაფერი მწვანედ ხასხასებს: ჩაი და ვაზი, ტუნგო და დაფნა, სიმინდი და ბარდა... მწვანე ფერი გაზაფხულის სიმბოლოა და იგი სწორედ წლის ამ პერიოდში მეფობს.

ჩვენი მანქანაც მწვანე ხეივნებში მიჰქრის. ხანდახან შეამოგვიცინიან ნაირფერად გადაფურცლული ვარდები.

მზის ამოსვლისათვის დაუსწრიათ ადამიანებს. როცა იგი ფითლად ღებავდა აღმოსავლეთს, მიწაზე უკვე კვლებს ავლებდნენ ტრაქტორები, მეჩაიეებს მოესწროთ დიდძალი „მწვანე ოქროს“ მოკრეფა.

კომუნისტური ოცწლეულის პირველმა გაზაფხულმა ცვლილება შეიტანა სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიაში. გაჩნდა ახალი ტერმინი: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო. დღეს ერთ-ერთი ასეთი სამმართველოს ზონაში ვართ. ყველა 73 საზოგადოებრივი მეურნეობა (69 კოლმეურნეობა, 4 საბჭოთა მეურნეობა), რომლებსაც სამტრედიის საწარმოო სამმართველო ერთიანებს, ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ ბუნებრივი და ეკონომიური პირობების მხრივ მონათესავე საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაობის შედეგები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მეურნეობა სრულად იყენებდეს რეზერვებს, მუდმივად იზრდებოდეს და წინ მიიწევდეს — აი რაში ხედავენ თავიანთ უპირველეს მოვალეობას საწარმოო სამმართველოს მუშაკები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომორგი, მათი ინსტრუქტორები.

მას ცხოვრების ძალიან კარგი სკოლა გაუვლია და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება შეუძენია. კიტა ბავიშვილი წლების მანძილზე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა, შემდეგ კი საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი იყო. ამ ცოტა ხნის წინ პარტიამ ამხ. ბავიშვილი ახალ უბანზე გაგზავნა. ახლა იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგია სამტრედიის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში.

გულმხურვალედ მიიღო კ. ბავიშვილმა პარტიის მოწოდება — ჩადგეს კომუნისტური სიუხვისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ახალმა მოვალეობამ ახალი საზრუნავი გაუჩინა.

— რით დავიწყო? — ბუნებრივია, ეს კითხვა ყოველთვის ეუფლება ადამიანს, როცა ახალ უბანზე გზავნიან სამუშაოდ. მიგრამ ამხ. ბავიშვილს დიდხანს არ უფიქრია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე კონკრეტულად ითქვა, თუ რით დაეწყოთ, რა უნდა გაეკეთებინათ. და თვით ცხოვრებაც ხომ უკარნახებდა მას!

პარტორგმა იცის, რომ წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მჭიდრო კავშირს დაამყარებს სოფლის მშრომელებთან და ითანამშრომლებს ერთგულ, საიმედო თანაშემწეებად.

და ამაში ღრმად დარწმუნდა მას შემდეგ, რაც გაეცნო პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობას. სამი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 2.860 კომუნისტი შრომობს. ეს დიდი ძალაა, თუ მას სწორად გავაანწილებთ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ამიტომ პარტორგი ესაუბრა ბევრი მეურნეობის კომუნისტებს, ურჩია, როგორ გაანაწილონ ძალები, როგორ მოაწყონ საagიტაციო მუშაობა, როგორ გაანაღონ ორგანიზატორული საქმიანობა.

— ჩვენ კატეგორიულად უარვყავით ეს აზრი, — გვეუბნება ამხ. ბავიშვილი, — რომ ყველგან და ყველაფერი სასწრაფოდ მოვიცვათ. აჩქარება სასურველ შედეგს არ მოგვიტანს. ჩვენი ინსტრუქტორები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გულმოდგინედ სწავლობენ საქმის მდგომარეობას და უმეტეს შემთხვევებში აღგილზევე ასწორებენ ნაკლოვანებებს. ისინი მეურნეობებიდან კვირის ბოლოს ბრუნდებიან, მოგვითხრობენ გაწეულ მუშაობაზე. ერთმანეთს ეუზიარებთ აზრებს. ყოველი ინსტრუქტორი აწარმოებს დღიურ — სამახსოვროს, რომელშიც ასახულია რის გაკეთება მოასწრო მან დღეისათვის და რას ფიქრობს სახვალიოდ. რაც შეიძლება ნაკლები თათბირები, სხდომები, მეტი პრაქტიკული მუშაობა — აი მთელი ჩვენი მოღვაწეობის საფუძველი.

სოფელ ეწერში დილაადრიან მივიდით და კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებისაკენ გავემართეთ. მეჩაიეები დაძაბულად მუშაობდნენ, ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ ხელსაყრელი ამინდი, რადგან ფოთოლი უხვად იყო შემოსული.

პარტორგი ახალბადა მკრეფავ დ. კოპალიეშვილთან მიდის. უხსნის მას, რომ არ შეიძლება ყრუ დუყების მოუკრეფავად დატოვება. არ მოკრიფო ისინი, — უხსნის იგი მეჩაიეს, — ეს ნიშნავს დუყებიც დაკარგო და ახალი ფოთლის განვითარებაც შეაფერხო. — ი ასე, — მიმართავს იგი მეჩაიეს და პრაქტიკულად უჩვენებს კრეფის წესს. პარტორგი შეიშნევს კრეფის ტექნიკას, რომ მეჩაიე ბევრ მოუკრეფავ ფოთოლს ტოვებს ბუჩქების გვერდებზე. შემდეგ უბის წიგნაკში ინიშნავს კოლმეურნეობის წინადღეების მაჩვენებლებს, მკრეფავთა სამუშაოზე გამოსვლის მდგომარეობას. აი პარტორგი მეორე ნაკვეთისაკენ მიეშურება, თითქოს მიხვდა, რომ იქ რაღაც არასასიამოვნო რამ ხდება. კარგა ხნის შემდეგ უკან დაბრუნებული პარტორგი ბრიგადირს უსაყვედურებს. — არ გეკადრება ეს, სვერიან! — აქაა და მოფარებული ადგილია და ვერავინ ხედავსო, პლანტაცია არ დაგიმუშავებია, ეკალ-ბარდს დაუფარავს. ამ უცხო კაცისა მაინც გრცხვენოდეს!

ბრიგადირი ყურებამდე წითლდება და აღუთქვამს ამ ნაკლის გამოსწორებას.

— თქვენ უნდა მოუმატოთ კრეფის ტემპს, თორემ გაგიჭირდებათ მაისში წლიური გეგმის ორმოცი პროცენტით შესრულება, — ეუბნება დასასრულ პარტორგი კოლმეურნეებს და საქმიანი საუბრის შემდეგ მათ კონკრეტულ დავალებებს აძლევს.

ესეც ცნობილი სოფელი დიდი ჯიხაიში. კოლმეურნეობაში პირველად ბრიგადირ ს. ვაშაკიძეს შეეხვედით. პარტორგის შეკითხვაზე — მოაწყეს თუ არა დღეს აქ საagიტაციო საუბარი, ვაშაკიძე უპასუხებს, რომ ოვით არის აგიტატორი და მისი მუშაობა პრაქტიკულ საქმეებში მოჩანს.

— ცუდი აგიტატორი ყოფილხარ, სიმონ, — შენიშნავს პარტორგი მას და ბოსტნეულის გაუმარგლავ ნათესზე მიუთითებს.

—თქვე ეაი ხალხო, რა გაგიჭირდათ ისეთი, რომ ბრიგადისათვის ერთი ვიმპელი ვერ შეეძინეთ. განა ცუდი იქნებოდა სამეშაო დღის ბოლოს იგი ყველაზე მოწინავე კოლმეურნისათვისაც გადაგეცათ?

ბრიგადირი დასტურის ნიშნად თავს იქნევს და პარტორგს ამ საქმის მოგვარებას ჰპირდება.

შემდეგ ამხ. ბავიშვილი ეცნობა კოლმეურნეობის ადამიანებს, ესაუბრება სპეციალისტებს, ბევრ საინტერესო დარიგებას აძლევს წარმოებაში მომუშავე ადამიანებს. 75 კომუნისტი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა, — ეუბნება იგი კოლმეურნეობის პარტიაურის მდივანს, — მაგრამ ცუდი ის არის, რომ მათგან არაცერთი არ მუშაობს ბრიგადირად. და პარტორგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად დიდხანს მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ გაანაწილონ კომუნისტები წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. მათს ყურადღებას ამახვილებს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე, მის ზრდაზე.

ალექსანდრე, მიხეილ, ვლადიმერ, სერგო! — ეხმიანება პარტორგი კოლმეურნეებს, გამოკითხავს საქმის ვითარებას, მათ თვალწინ მსჯელობს წარმოების რეზერვებზე, ანგარიშობს, ბლოკნოტში ინიშნავს, დახმარებას ჰპირდება.

ჩაის პლანტაციაში ინსპექტორ-ორგანიზატორი ლ. ლოჩოშვილი შემოგვხვდა. საქმის მდგომარეობის გამოკითხვის შემდეგ იგი მოგვითხრობს თავის უახლოეს გეგმებსა და საქმეებზე, იმაზე თუ როგორ აქვს წარმოდგენილი მას ინსპექტორ-ორგანიზატორის მუშაობა.

— თვითეულ კოლმეურნეობაში რამდენიმე დღეს ვრჩებ, ვეცნობი, თუ როგორ ირმავეს თავს იგი პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყოდის დაკალებებს. ვეხმარები ჩამორჩენის, ნაკლოვანების გამოსწორებაში და მანამ არ მივდივარ სხვაგან, ვიდრე არ დავინახავ, რომ საშინი აღარფერია. ერთი მაგალითი. წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის კოლმეურნეობაში ხუთ ჰექტარ ჩაის პლანტაციას წლების მანძილზე არ ამუშავებდნენ. პარტორგის მითითებით დაინტერესდი ამ საკითხით. კოლმეურნეობის გამგეობი დავაჯერე, რომ ეს იყო დიდი რეზერვი, რომლის გამოუყენებლობაც არ შეიძლებოდა. მალე ეს ნაკვეთი დამკვრელ უბნად გამოცხადდა. აქ რამდენიმე დღეს არ წყდებოდა კოლმეურნეთა შრომა. სანამუშოდ დამუშავებულ ნაკვეთში ახლა ჩაის კრეფაა გაჩაღებული.

საწარმოო სამმართველოს უფროსმა გ. ქართველიშვილმა, რომელიც მინდვრად ვნახეთ, გვითხრა:

— პირველი დღეებიდანვე ვცდილობთ რაც შეიძლება იშვიათად მოვაწყვიტოთ ადამიანები პრაქტიკულ საქმეებს. ჩვენ გვახარებს, რომ კოლმეურნეები არა მარტო გვაცნობებენ სხვადასხვა ხარვეზების შესახებ, არამედ გვიგზავნიან თავიანთ წინადადებებს. ჩვენ კი ჩვენი მხრით ვცდილობთ ყოველივე ამას სწრაფად და ოპერატიულად გამოვხმაუროთ. ეს გასაგებიც არის. ჩვენი მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გავუწევთ რეკომენდაციას საკუთარ თავს კოლმეურნეთა წინაშე, როგორ კავშირს გავაბამთ მხვნელ-მთესველებთან.

მანქანამ სულმოუთქმელად დალია ათობით კილომეტრი გზა და ქალაქ წულუკიძის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებთან შეჩერდა.

ვიცი, რომ აქ დიდი სიურპრიზი მელოდება. აქ იღვწის ჩვენს ქვეყანაში დაალბათ მსოფლიოშიც განთქმული მეჩაიე ქალი ი. წოწონავა, რომელსაც დღეს პირველად უნდა შეეხვედე. ჩაის მიმღებ საველე პუნქტში ხალხმრავლობაა. აქ არიან პუნქტის მუშაკები, მოსულან მეჩაიეებიც, რომლებსაც მოკრეფილი „მწვანე ოქრო“ მოუტანიათ, აგერ მხატვარიც. მას ახლა სწორედ ი. წოწონავას რგოლის მაჩვენებლები გადაქცეს სპეციალურ დაფაზე. — იზოლდა წოწონავა, — მოუსწრია მხატვარს დაწერა, — ვიგეგმა 3 ათასი, ვალდებულება — 17 ათასი კილოგრამი.

მაგრამ სად არის თვითონ ეს სახელოვანი ქალი?

იგი ჩაის მიმღებ პუნქტიდან ასიოდე მეტრზე მუშაობს, თავზე ფართოფაფრფალებიანი ქუდი დაუხურავს და ისე გართულა, არც კი შეუნიშნავს ჩვენი მისვლა.

რა შეიძლება უწოდოს კაცმა ამ ხელებს ასე სწრაფად და რიტმულად რომ დანავარაფინებენ ჩაის ბუჩქებზე? მათს პატრონს ნამდვილად უშრეტი ენერგია და დიდი შინაგანი ძალა აქვს.

— რამდენი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩაიბარეთ დღეს პუნქტს? — ვეკითხებით მკრეფავს.

— ჯერჯერობით 157 კილოგრამი, მაგრამ ვფიქრობ შებინდებამდე ეს ციფრი ორასამდე ავიყვანო, — თავაუღებლივ გვიპასუხებს.

აქ კიდევ ბევრი კითხვა დაგვებადა, მაგრამ თითქოს მოგვეხსორა გაგვეცდინა ადამიანი, რომელსაც თვითეული წუთი ძვირად ეფირის.

ი. წოწონავას სახელი ახლა პოპულარულია წულუკიძის რაიონში, მთელს რესპუბლიკაში. იზოლდა არა მარტო მოწინავე მკრეფავია, არამედ ახალგაზრდა მეჩაიეთა კარგი მეგობარი და მასწავლებელიც არის. სწორედ იზოლდას რგოლიდან აფრინდნენ დალი წიფწიფაძე და ანანო ჭაჭაია, რომლებმაც ცალკე რგოლები შექმნეს და ცდილობენ მხარი გაუსწორონ თავიანთ უფროს მეგობარს. ი. ხაბულიანი, ვ. თუთისანი, ჟ. ქუთათელაძე... ვინ მოთვლის მოწინავეთა სახელებს.

უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის სამტრედიის, წულუკიძისა და ვანის რაიონებში. ამ მიზანს ემსახურება ყველაფერი: მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, თვალსაჩინო აგიტაცია, სასოფლო-სამეურნეო კინოფილმები, სპეციალური ლიტერატურა და სხვ.

პარტორგს აინტერესებს, როგორ არის დაყენებული სოციალისტური შეჯიბრება წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის კოლმეურნეობაში. ირკვევა, რომ ცალკეული კოლმეურნეები შეჯიბრებაში არ არიან ჩაბმული, არ ამოწმებენ და არ აცნობენ მშრომელებს შეჯიბრების შედეგებს.

— საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს ს. კორძაძეს გამოცდილება აკლია, — ამბობს პარტორგი. იგი წინადადებას აძლევს თავის ინსტრუქტორს გ. ბახტაძეს დაეხმაროს პარტბიუროს მდივანს როგორც ამ, ისე სხვა საკითხების მოგვარებაში და შედეგი უშუალოდ მას აცნობოს.

ბევრი რამ მოჰყავთ სამტრედიის, წულუკიძის, ვანის რაიონების მიწებზე აჭაურ მშრომელებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაახლოებით თანაბარ პირობებში უხდებათ მუშაობა, ერთნი შედარებით უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე მეორენი, ზოგნი კი ერთ ადგილს ტკეპნიან. ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობები უკან ეწევიან დავალებათა შესრულებას და ეფარებიან რაიონების საშუალო მაჩვენებლებს. ეს მაშინ, როცა სამტრედიის, წულუკიძის, ვანის რაიონები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების უდიდეს რეზერვებს ფლობენ. ამ რეზერვების უნარიანი გამოყენება წარმოების ზრდის მთავარი წყაროა. ამიტომ სსრკ-ის სამართველოს მუშაკებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომორგმა და მათ... [illegible] ... ჩამოვიარეთ ... ჩაის ... ეს ... ადგილები ... ეს ... ჩაის ... ეს ... ადამიანებ... ... ...

სასიხარულო ცნობა

ელიან ძვირფას სტუმარს

ბუქარესტი, 23 მაისი. საკდესის კორესპონდენტი პ. კრავჩენკო იუწყება: ცნობა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალი ვიზიტის შესახებ სწრაფად მოედო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს. საკდესის კორესპონდენტი ეწვია ბუქარესტის 23 აგვისტოს სახელობის ქარხანას. რუმინეთის ამ უდიდესი მანქანათსაშენებელი საწარმოს მუშები დიდ სიხარულს გამოთქვამენ საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო, მიაჩნიათ ვიზიტი დიდმნიშვნელოვან მოვლენად რუმინელი ხალხის ცხოვრებაში. მუშების საერთო გრძნობები გამოხატა მეფოლადემ, დიდი ეროვნული კრების დეპუტატმა, რუმინეთის მუშათა პარტიის წევრმა ტ. მარინმა, რომელმაც განაცხადა. მეტად მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა მიიღებს ძვირფას სტუმრებს, განსაკუთრებით ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელი მთელ მსოფლიოშია განთქმული. იგი არის მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლი, რომელიც დიდ ძალღონეს ახმარს ამ კეთილშობილურ საქმეს. ყოველი მისი სიტყვა გამსჭვალულია ზრუნვით უბრალო ადამიანისათვის. რუმინეთში პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ხელს შეუწყობს რუმინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. სულითა და გულით მივესალმები ამ ვიზიტს.

ი. ა. გაგარინი იაპონიაში

ტოკიო, 23 მაისი. (საკდესი). ი. ა. გაგარინის პატივსაცემად დაწერილი სიმღერით დაიწყო დღეს მასობრივი სახალხო მიტინგი ტოკიოში საბჭოთა კოსმონავტის ვიზიტთან დაკავშირებით.

იაპონიის სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციის, დედაქალაქისა და მთელი რიგი პრეფექტურების ქალაქების სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა 10 ათასზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა ამ მიტინგში. პირველ კოსმონავტ მფრინავს ტაშის გრიალით შეხვდნენ.

ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც შედიან ი. ა. გაგარინის შეხვედრის მოწყობ ეროვნულ კომიტეტში. ორატორები მისასალმებელ სიტყვებში აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებს კოსმოსის ათვისების დარგში, საბჭოთა ხალხის უდიდეს მეცადინეობას მშვიდობისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებისათვის ბრძოლაში.

მიტინგის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელიც მოამზადეს მშრომელთა თვითმოქმედმა სამხატვრო კოლექტივებმა — „იაპონიის ხმებით მომღერლებმა“.

ოსაკა, 24 მაისი. (საკდესი). ესოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი მაიორი ი. ა. გაგარინი დღეს ჩამოვიდა იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო და სავაჭრო ცენტრში ქალაქ ოსაკაში.

ნამუადღევს სასტუმრო „მიუ ოსაკაში“ მისვლის შემდეგ ი. ა. გაგარინმა მოაწყო პრესკონფერენცია ადგილობრივი კორესპონდენტებისათვის. მან უპასუხა უამრავ შეკითხვაზე კოსმოსური გაფრენის, კოსმოსის ათვისების დარგში საბჭოთა მეცნიერების მიღწევების, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ.

შემდეგ საბჭოთა კოსმონავტი ვიზიტად ეწვია ოსაკის პრეფექტურის გუბერნატორს სატოსა და ქალაქის მერს ნაკაის. საბჭოთა კოსმონავტსა და პრეფექტურისა და ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

საუბრის დროს გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა განვითარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა, გაღრმავდეს ურთიერთობა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის და დამყარდეს კარგი ურთიერთობა, კერძოდ ოსაკასა და ლენინგრადს შორის, რადგან ამ ქალაქებს ბევრი რამ აქვთ საერთო.

მხიარული ღიმილით, აღტაცებისა და მეგობრობის შეძახილებით შეხვდნენ ოსაკას მცხოვრებნი ქალაქის ქუჩებში მიმავალ საბჭოთა კოსმონავტს. ყოველი მათგანი ცდილობდა რაც შეიძლება ახლოს მისულიყო და დაენახა ლეგენდარული გმირი, მაგრად ჩამოერთვა ხელი და ეთქვა გულთბილი სიტყვები.

ამერიკელი კოსმონავტის გაფრენა

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს შეერთებულ შტატებში კანაველალის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) რაკეტა „ატლასის“ საშეალებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „ავრორა-7“. ხომალდში იმყოფება ამერიკელი კოსმონავტი მფრინავი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტან-ლეიტენანტი მალკოლმ სკოტ კარპენტერი.

კოსმოსური ხომალდის გაშვება მოხდა 7 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი (15 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის) დროით. როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გაშვებიდან ხუთი წუთის შემდეგ ამერიკელმა კოსმონავტმა მფრინავმა რადიოთი გადასცა, ორბიტაზე ვიმყოფებიო. პროგრამით გათვალისწინებულია, რომ კარპენტერი სამჯერ შემოუვლის დედამიწას.

ხელები შორს ლაოსისაგან

ჰანოი. ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა და ვიეტნამის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა 23 მაისს გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში დაგმეს ამერიკის საბრძოლო ნაწილების გადასხმა ტაილანდში.

ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტი და ვიეტნამის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებენ ლაოსში ამერიკის შეიარაღებული აგრესიის გეგმის წინააღმდეგ. ისინი გადაჭრით მოითხოვენ, რომ შეერთებულმა შტატებმა გაიყვანონ მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალები ტაილანდიდან, ლაოსიდან, სამხრეთ ვიეტნამიდან, აგრეთვე გაიტანონ ამ ქვეყნებიდან იარაღი და სხვა საომარი მასალები, შეწყვიტონ ჩარევა ლაოსის საქმეებში და შესაძლებლობა მისცენ ლაოსელ ხალხს თვითონვე მოაწესრიგოს საკუთარი საქმეები.

ბანგკოკი. ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს მუდმივმა ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ აქტს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და პროტესტს აცხადებს ამერიკის პირდაპირი ჩარევის წინააღმდეგ ლაოსის საშინაო საქმეებში.

ტოკიო. იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე პროტესტი განუცხადა იაპონიის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ინდოჩინეთში. განცხადებაში ნათქვამია, რომ იაპონიის კომუნისტური პარტია მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ლაოსში, აგრეთვე იკუდს მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მათი აგრესიული გეგმების განხორციელებაში.

ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის ჯარების მოქმედება აგრესიისათვის იაპონიის ბაზებში, გაუქმდეს ამერიკის სამხედრო ბაზები იაპონიაში და ოკინავაზე, გაყვანილ იქნეს ამერიკის ჯარები იაპონიის ტერიტორიიდან, აგრეთვე დაუბრუნდეს იაპონას შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული კუნძულები ოკინავა და ოგასავარა.

23 მაისი. (საკდესი).

ამერიკელი კოსმონავტი

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს შეერთებულ შტატებში კანაველალის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) რაკეტა „ატლასის“ საშეალებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „ავრორა-7“. ხომალდში იმყოფება ამერიკელი კოსმონავტი მფრინავი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტან-ლეიტენანტი მალკოლმ სკოტ კარპენტერი.

კოსმოსური ხომალდის გაშვება მოხდა 7 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი (15 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის) დროით. როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გაშვებიდან ხუთი წუთის შემდეგ ამერიკელმა კოსმონავტმა მფრინავმა რადიოთი გადასცა, ორბიტაზე ვიმყოფებიო. პროგრამით გათვალისწინებულია, რომ კარპენტერი სამჯერ შემოუვლის დედამიწას.

ინდოეთი

ინდოეთ-ჩინეთის საზღვარი

ნიუ-დელი, 23 მაისი. (საკდესი). ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე ინციდენტი მოხდა. ინდოელ ჯარისკაცებს ცეცხლი გაეხსნათ ჩინელ ჯარისკაცებზე. ინციდენტი ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე ბოლო ინციდენტია. ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე ბოლო ინციდენტ-

მედეას ახალი სიცოცხლე

ევრიპიდეს „მედეა“ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე

ბერძნული მითოლოგია არა მარტო ანტიკური ეპოქის, არამედ ცივილიზებული სამყაროს ახალი ხელოვნების ჭეშმარიტ ქვაკუთხედს წარმოადგენს. საოცარი ძალისა და გაქანების ამ ეპოპეაში არგონავტების მითი ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა. და როდესაც საუბარია, რომ ეს საქვეყნოდ ცნობილი ანტიკური თქმულება, რომელიც ყველა დროისა და ხალხების ხელოვანთა გულისთქმას იზიდავდა, მიუკერძოებლად ღაღადებს უძველესი ქართველური სახელმწიფოს — კოლხეთის — მაღალ კულტურულ ყოფაზე, სამხედრო ძლევამოსილებაზე, ინტელექტუალურ სიმაღლესა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე.

არგონავტების მითის იდეურ-სიუჟეტური ხერხემალი კოლხეთის მეფის ასულის, მედეას, თავგადასავალია. ძველი და ახალი სამყაროს უდიდეს შემოქმედთ მრავალჯერ უცდიათ ამ უკვდავი თემის დამუშავება.

მაგრამ მედეას ტრაგიკულ სულში ჩახედვის ისეთი გულთამხილობა და მისი ენებების ისეთ სიმაღლეზე აწევა, როგორც ევრიპიდემ შეძლო, ვერავის ძალუძს, ტრაგედიის სამ ტიტანთაგან (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე), რომელთა გასაოცარი ქმნილებანი კაცობრიობის გონებრივი და მხატვრული განვითარების ნიშანსვეტებს წარმოადგენენ, ევრიპიდეს „მედეა“ დღემდე მიუღწეველ კლასიკურ ნიმუშთა რიგში დგას და საერთაშორისო დრამატურგიული საგანძურის ერთ უპირველეს ქმნილებას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, ევრიპიდეს „მედეა“ ქართულ სცენაზე დღემდე არ დადგმულა.

ამიტომ იყო, რომ ქართველი საბჭოთა საზოგადოებრობა დიდი ინტერესით მოელოდა უდიდესი სცენური ტრადიციების მქონე ტრაგედიის ქართულ სცენაზე ამეტყველებას, და რაოდენ სასიხარულოა, რომ იმედი გამართლდა და მარჯანიშვილის თეატრის სახელოვანმა კოლექტივმა კიდევ ერთი ნამდვილი მაღალმხატვრული და მაღალიდეური, ჭეშმარიტად საეტაპო სპექტაკლით გაამდიდრა ჩვენი ეროვნული თეატრალური ხელოვნება.

თავისი პიესისათვის ევრიპიდემ მედეაზე არსებული მითის მხოლოდ ფინალური ნაწილი აიღო. ტრაგედიული მოქმედება იშლება იმ მომენტიდან, როცა იასონი მედეას უღალატებს და სამეფო გვირგვინის მოსაპოვებლად კორინთის მეფის ქალიშვილს შეირთავს. მედეა გაოგნებული და შეძრწუნებულია ვერაგი იასონის სულმდაბალი საქციელით. განა იასონის სიყვარულს არ შესწირა მან სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობა, განა მედეამ არ მოატაცებინა საბერძნეთიდან საგანგებოდ ჩამოსული იასონს ის ოქროს საწმისი, რომელიც კოლხეთის ბედნიერების საფუძველს წარმოადგენდა და მშობლიური ქვეყნის სიუხვის წყარო იყო! განა იასონისათვის არ გასწირა მედეამ მამა, ძმა, ნათესავ-მეგობარნი! და რა მიიღო სანაცვლოდ?, უმადურმა იასონმა ყოველივე მიივიწყა. მან შეურაცხყო არა მარტო მედეას ქალობა, არამედ მისი ეროვნული გრძნობაც.

ევრიპიდეს უკვდავი ნიჭის მრავალმხრივობა იმითაც მტკიცდება, რომ იგი ყველა ეპოქას აძლევდა საკვებს და ყველას სხვადასხვანაირად აკითხებდა თავის ნაწარმოებს. იყო საუკუნეები, როცა ამაყ ბერძენთაგან შეურაცხყოფილ და შურისგების გრძნობით ახანძრებულ მედეას უბოროტეს არსებად მიიჩნევდნენ და წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. კულტურის სხვადასხვა სიმაღლიდან, დროის სხვადასხვა სიშორიდან და სხვადასხვა ეროვნული პოზიციიდან სხვადასხვანაირად მოჩანდა ტანჯულ მედეას არაადამიანური საქციელი.

როგორ დაინახა იგი ქართულმა თეატრმა, როგორ დაანახვა მან თანამედროვე ქართველ მაყურებელს მედეას ტრაგიზმი? და როგორ გაიაზრა ამ ტრაგიზმის მიზეზი, მისი ხასიათი რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა, ვისი საუკეთესო დადგმებიც ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებით გამოირჩევა?

ღრმად გააზრებული და შთაგონებული დადგმით არჩ. ჩხარტიშვილმა დაგვარწმუნა, რომ მედეას საშინელ შურისძიებას არა მარტო თავისი მიზეზი, არამედ გამართლებაც კი ჰქონია. მან გვიჩვენა, რომ არის ისეთი რამ, რაც ყველაზე უფრო ფასეულია ადამიანში — ეს არის სამშობლო ქვეყნის სიყვარული, სამშობლოს ერთგულება; რომ არის ისეთი რამ, რაც აუსაფლავს არ ეპატიება ადამიანს — ეს არის ღალატი სამშობლოსი. და თუ ადამიანი უარყოფს პირველს, წავა მეორის გზით, მას აუცილებლად ისეთივე საშინელება მოელის, როგორც თავისი ხალხის უარისმყოფელ მედეას დაემართა. ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ არის სასიცოცხლო ძარღვი ევრიპიდეს ტრაგედიისა, აქ არის სული და უკვდავება ამ ნაწარმოებისა და, მაშასადამე, ეს უნდა ყოფილიყო მისი მართებული სცენური განმარტების საფუძველიც.

მედეა (ვერიკო ანჯაფარიძე).

* * *

ამიტომ სავსებით სწორად მოიქცა დადგმელი კოლექტივი, როცა სარეცენზიო სპექტაკლს პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეა დუდო საფუძვლად. ეს იდეური ხაზი მომავალში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რათა სპექტაკლის დასკვნა-„ჩაჯდომის“ შემდეგ, იგი კიდევ უფრო საცნაურ იქნას.

მარჯანიშვილის თეატრი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და ეროვნული გრძნობის პოზიციებიდან მიუდგა ევრიპიდეს მიერ დაუშავებულ თემას და, ჩვენი აზრით, სწორედ აქ არის სარეცენზიო ტრაგედიის თანამედროვე თვალთახედვით წაკითხვის არსი. ევრიპიდეს პიესაში ეროვნული პრობლემა, ეროვნული მომენტი ვიწრო ეთნოგრაფიული გზით როდი მიიღწევა. აქ ჩვენ გვაქვს დიდი ვნებებით დამუხტული ზოგადკაცობრიული ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური ჩვენება, და თეატრიც ამ მხატვრული სიმართლის ბოლომდე ერთგული ენდა დარჩენილიყო: საჭირო იყო არა მარტო ეკრანიდეს სწორი წაკითხვა, ღრმა წვდომითა და გააზრებით, არამედ ტრაგედიის საჭირო სიმაღლეზე „წევა“.

არჩ. ჩხარტიშვილმა ამ ნამდვილად ანსამბლური სპექტაკლს მოუნახა შესანიშნავი კომპოზიცია. მან ერთიანი მიზანდასახულობის საღტეებით შეკრა წარმოდგენა, უკიდურესი გამომეტყველებით ავსო ცალკეული სცენები, ქოროსა და ცალკეულ მოქმედ პირთა სავარცული ურთიერთობით შექმნა დიდი ესთეტიკური ზემოქმედებისა და მთლიანობის პლასტიკური ნახაზი, ნოვატორულად გამოიყენა ძველბერძნული ქორო და ღრმად გაანრებული მიზანსცენებით ხელი შეუწყო სიტყვის, გრძნობის, განცდის „მატერიალიზაციას“. არისტოტელეს შენიშვნის საფუძველზე რეჟისორმა შეცვალა პიესის ფინალი და ამით კიდევ უფრო გაზარდა მისი ემოციური ზემოქმედების ძალა. პიესის დასასრულს მედეა მითიური ეტლით კი არ მიეპეზავრება, არამედ, სულიერად და ფიზიკურად გატეხილ, ნელა მილასლასებს ტანჯვის ვიწრო ბილიკით. ეს არ ითის ცოდვათა გამოსყიდვის, შენდობის ძიება. იგი სულთა გვემის გზაა, რომლის დროს სიცოცხლე სიკვდილზე უარესია, ეს არის ის უსაშინელესი სამგიერო, რომელიც უდოეკი ნებისყოფის ადამიანმა თვითონვე მიუზღო შვილთა სისხლით შესვრილ თავის თავს. ირაციონალურ დანაშაულს არაადამიანური სიმკაცრის სასჯელი დაადო შეუბრალებელმა მედეამ.

პიესის კომპოზიციური თავისებურება კიდევ უფრო აძლევს მედეას ისედაც უკიდურესად ძნელ როლს.

რაშია ვერიკო ანჯაფარიძის მედეას მთავარი თავისებურება და ღირსება? წარსულის არა ერთ სახელოვან აქტიორს განუსახიერებია ეს როლი. მათ მიერ შექმნილ სახეებში უმრავლეს შემთხვევაში ჩანდა ქმრისაგან მოტყუებული, საყვარელი ორსებისაგან მიტოვებული ქალის ტრაგედია, მისი შურისძიება; გათელილი პიროვნების შემართებლური ჯანყი. ქალთა ემანსიპაციის ეპოქაში ევრიპიდეს პიესა ჟღერდა როგორც ქალის დიდი მეობის, მისი სულიერი სიმტკიცისა და უდრეკლობის ჰიმნი. მაგრამ დღეს, და ისიც ქართულ სცენაზე, ქართველი მსახიობი მარტო ამ განცდაი ვერ იაამწყვდევდა კოლხელ წინაპარს. მით უმეტეს, რომ თვით ევრიპიდესაც არ ჩაუკეტია იგი ასე ვიწროდ და მისი ტკივილების სხვა მხარეც გვიჩვენა.

ვერიკო ანჯაფარიძემ გვაგრძნობინა არა მარტო მიტოვებული ქალის განცდა, არამედ სამშობლო ქვეყნის მოღალატე ქალის „შემაძრწუნებელი სულის კივილი, ქალისა, რომელსაც ვნებიანმა ბუნებამ, დაუძლეველმა სიყვარულმა აფრა წაართვა და თავისი ხალხის წინაშე უმძიმესი დანაშაული ჩაადენინა. უცხო მხარეს გადახვეწილი მედეა, ვერაგულად მიტოვებული, მხოლოდ ახლა მიხვდა საკუთარი საქციელის სიმძიმეს. მან მხოლოდ ახლა დაინახა თავის საბედისწერო ნაბიჯის აუნაზღაურებელი ზიანი შშობლიური კოლხეთისათვის, რომელმაც ოქროს საკითხის ბერძენთაგან მოტაცების შემდეგ დაკარგა ბედნიერება და სიხარული.

რეჟისორის მდიდარი წარმოსახვის წყალობით ამ სპექტაკლში „გაჩნდა“ კიდევ ერთი მთავარი მოქმედი პირი და მან, ყველასათვის მოულოდნელად, მედეას შემდეგ პირველი ადგილი დიაკავა. კოლექტიური ხასიათის ასეთ მოქმედ პირს სპექტაკლში ქორო წარმოადგენს. არჩ. ჩხარტიშვილმა სტატიური და უმნიშვნელო ფუნქციის ქორო ისეთ ცოცხალ, შთამბეჭდავ ფაქტორად აქცია, რომ იგი მედეას ტრაგიკული ბედის ძეტყველ სარკედ და პლასტიკურ ორეულად მოგვევლინა. რიკოშეტული ხერხით გადაწყვეტილი ქორო, რომლის მოძრაობაში მედეას სულიერი მდგომარეობის პერიპეტიები მოიახლა, უაღრესად ორიგინალური და ნოვატორული ელემენტია ამ სინტერესო დადგმისა.

ტრაგედიის დანარჩენ მოქმედ პირებს მედეას პერსონაჟული გარემოცვის ფუნქცია ეკისრება. ანტიკიური ხასიათის ასეთმა დატვირთვამ შეკვეცა მათი დრამატურგიული სისრულით გამოქანდაკება, რაც თავის მხრივ ზღუდავს სცენური განსახიერების შესაძლებლობას. მაგრამ, მიუხედავად ეპიზოდურობისა, შესრულებლებმა არაერთი შთამბეჭდავი სახე ჩამოქნეს.

უეჭველად ტექსტის მიუხედავად, ბ. კობახიძემ შეძლო ვერაგი ეგოისტისა და გულცივი, პატივმოყვარე ადამიანის სახის შექმნა. უყურებ ამ თვითკმაყოფილსა და პირადი ბედნიერებისაკენ ყოველგვარი გზებით, ყოველგვარი საშუალებებით მსწრაფ ადამიანს და რწმუნდები მედეას ეჯვის საფუძვლიანობაში: იგი ტყუილად არა შიშობდა, რომ იასონის შემყურე შვილებიც მამასავით ფლიდი და ვერაგნი გამოვიდოდნენ.

მეფური შეუვალობით და ძალ-რბილში გამჯდარი მედიდურობით არის აღსავსე ტ. საყვარელიძის კრეონი. ნიჭიერმა მსახიობმა ოსტატური ნიუანსებით გადმოგვცა კრეონის შეფფოთებული ფიქრთა დინება. ერთი ხანმოკლე გამოჩენა იყო საკმარისი ა. კობალაძისათვის, რათა შეექმნა ათენის კეთილშობილი მეფის ეგეოსის მომზიდველი და შინაგანად გამთბარი სახე.

იასონი (პიერ კობახიძე).

* * *

მიერ. მთარგმნელმა არა მარტო ზუსტად გადმოგვცა ტექსტი, არამედ ხალხური იდიომატიკის მდიდარი გამოყენებით შექმნა ძარღვიანი, ბგერადი, მოქნილი და სხარტი სალაპარაკო მასალა.

„მედეა“ ჭეშმარიტად მაღალმხატვრული, მძლავრი ემოციური ზემოქმედებისა და მაღალი იდეური ხმიანობის სპექტაკლია, რომელიც ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების კიდევ ერთ დიდსა და სასიხარულო გამარჯვებას წარმოადგენს.

გიორგი ციციშვილი.

მშვენიერება და კეთილმოწყობილი ხდება მეშახტეთა ქალაქი ტყიბული. **სურათზე:** ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხმები სიჩუმის საამეფოდან

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონში საინტერესო სიახლეს ნახავთ. შედიხართ ჩაბნელებულ დარბაზში, დაბალ ხმაზე უკრავს მუსიკა, ისმის ნაპირისაკენ მოსრიალე ტალღების ნელი ტლაშუნი, ქარის ზუილი. უცებ ნაცნობ მელოდიებში დისონანსად შემოიჭრება ველური ჟღივილი, საშინელების კივილი, სტვენა და რახუნი — ერთი სიტყვით, ულტრამოდერნისტული მუსიკის მსგავსი რაღაც. მიუხედავად ამისა, ამ ხმებს პირდაპირი კავშირი აქვს მეცნიერებასთან.

ყველამ ვიცით თქმა, „თევზივით მუნჯია“, და არასოდეს არ დავიუბედულვართ მის სისწორეში. ხომ არავის არ გაუგონია თევზის ხმა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ხმები, რომლებსაც თევზები გამოსცემენ, ძალიან სუსტია, არამედ იმითაც, რომ წყალში გავრცელებისას ისინი თითქმის ვერ აღწევენ ზედაპირამდე. წყალქვეშა მიკროფონი — ჰიდროფონი — ძალიან მგრძნობიარე ხელსაწყოა და შეუძლია დაიჭიროს ხმები, რომელთა წნევა შეიძლება შეავადაროთ მხოლოდ ხელზე დამჯდარი მწერის დაწოლის წნევას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცხოველთა მორფოლოგიის ინსტიტუტის იხტიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელი, მეცნიერი მუშაკი ვლადიმერ პროტასოვი რამდენიმე წელიწადია სწავლობს თევზების ხმებს. სხვადასხვა ზღვებსა და ტბებში იგი მაგნიტოფონის ფირზე იწერდა ხმებს სიჩუმის სამეფოდან. მიღებული ჩანაწერებიდან მონტირებულია სპეციალური ტონფილმი, რომელიც დემონსტრირებული იქნება სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

განსაკვირებელია ის აქამდე გაუგონარი ხმების მრავალფეროვნება, რომლებიც ჰიდროფონის დახმარებით გვესმის. ხმები, რომლებსაც ქაშაყი გამოსცემს, ბეღურას ჟივ-ჟივს მოგაგონებთ, ქარსალას ხმა კელას ზუზუნს ჰგავს. ფაროთ ვოკალური დიაპაზონი აქვს სვიას: იგი უსტვენს და... ყმუის, ღრჭიალებს და ყვირის. შავი ზღვის კუზა თევზი აკაკუნებს, როდესაც საცურავი ბუშტებიდან წყალს უშვებს. პატარა თევზი გრეზეუსი ხმით, რომელიც დოლის ცემას მოგაგონებთ, აფრთხობს მტაცებლებს და თავის უფრო სუსტ მოძმეებს საკვების ძებნაში.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მალაის მეთევზეებს შორის არიან განსაკუთრებული სმენის ადამიანები, რომლებიც წყალში ყურის გდებით არკვევენ თევზის რაოდენობასა და ჯიშს.

თანამედროვე ჰიდროფონი, რომელიც განსაკუთრებულ მგრძნობიარობით აღიქვამს ბგერებს, მოგვეხმარება დადგინოთ თევზის ჯიში. ეს ძალიან საჭიროა თევზის საჭერწაო დაზვერვისათვის, თევზის თავმოყრის ადგილები ზღვის საერთო ფართობის ხომ 0,1 პროცენტს შეადგენს. ზღვაში თევზის ძებნა ეგვეკვა, რაც ხემსის თივაში ძებნა. სწორედ აქ ძიებულება მეთევზეებს ფირზე ჩაწერილი თევზების ხმები. ძლავრი დინამიკით გაძლიერებულნი, ისინი მოიზიდავენ თევზებს ჭერის ადგილას. თევზის ჭერის ასეთი მეთოდი ფართოდ არის ცნობილი მეთევზე-მოყვარულთათვის.

ვლადიმერ პროტასოვისათვის თევზების ხმების ჩაწერა გარდაქცია თავისებურ გატაცებად, რომელსაც იგი მთელ თავის თავისუფალ დროს უთმობს. სად არ იყო იგი თავისი ჰიდროფონით ამ უკანასკნელ ხანებში.

ვ. პროტასოვს გაცხოველებული მიწერმოწერა აქვს ბევრ საზღვარგარეთელ მეცნიერთან და სპეციალისტთან. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ორი ფირი წყნარი ოკეანის თევზების ხმების ჩანაწერებით.

ოლეგ ლაინე,
საგენტო „ახალი ამბები“.

თეატრალური ცხოვრება

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა გ. ყორდანიამ, მხატვრულად გაფორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა.

□ **ქუთაისის** ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა თერჯოლაში მოაწყო გასვლითი სპექტაკლები. პირველ დღეს თეატრის კოლექტივმა მაყურებლებს უჩვენა პ. კაკაბაძის კომედია „ცხოვრების ჯარა“, მეორე დღეს — დ. თაქთაქიშვილის პიესა „თეთრი ღამურა“.

ვ. კუბალაძე.

თქვენთვის, მომხმარებლებო!

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ვესტიბიულში კიოსკთან ოცდაათიოდე ადამიანი იცდის. ისინი რიგში დგანან, მაგრამ გასაყიდი არაფერი ჩანს.

ამ საქმეში გაგვარკვია მაღაზიის მუშაკმა, მუსიკალური საქონლის სექციის გამგემ კ. კიკვაძემ.

— რიგში წინასწარ ჩაწერილები გამოძახებული გვყავს პიანინოს მისაღებად. ახლა აქ ფულს გადაიხდიან, დანიშნულ დროს ჩვენი მუშაკი სპეციალური ავტომანქანით პიანინოს ბინაზე მიუტანს. მუსიკალურ ინსტრუმენტებს მეორე წელია ასე ვყიდით და, რა თქმა უნდა, მომხმარებელიც კმაყოფილია, მათ არ უხდებათ მაღაზიაში უნაყოფო ლოდინი.

ვეწვიეთ ცენტრალური უნივერმაღის დირექტორს ა. ხარბედიას. ვთხოვეთ ცოტა რამ მეეთხრო ვაჭრობის ამ ახალ მეთოდზე.

— დიდი ქალაქების ვაჭრობის მუშაკების გამოცდილების მიხედვით, გვეუბნება ა. ხარბედია, — დავიწყეთ მუსიკალური ინსტრუმენტების რიგში ჩაწერით გაყიდვა. პირობები ცხადდება გაზეთში, მომხმარებლის მოთხოვნაც პაკეტით მოგვდის. ჩაწერილი არიან სამუშაო ოთახის გარნიტურზე, წიგნების სექციურ კარადაზე.

საოჯახო ნივთის შეძენით ბევრ მომხმარებელს გაახარებს „თბილმრეწვავაჭრობის“ მუსიკალური საქონლის № 22 სპეციალიზებული მაღაზია პლეხანოვის პროსპექტზე. აქ 540 მომხმარებელი შეიძენს პიანინოს. საწოლი ოთახის 470 კომპლექტ გარნიტურს გასცემს ჩაწერილი რიგით ავეჯის № 40 სპეციალიზებული მაღაზია, სასადილო მოწყობილობას, „ხელგა“, კარადებს, პიანინოებს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს № 2 უნივერმაღი.

თეატრები

25 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-4 აბონ. მე-9 სპექტაკლი). **რუსთაველის სახელობის** — წვიმის გამყიდველი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ძე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ჩრდილოეთის მადონა, **სანკულტურის** — თორტიზელები, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო კონცერტი, **სპორტის სასახლე** — ვენის ბალეტი ყინულზე „აის რევიუ“.

ტელევიზია

18.00 — საბჭოთა კავშირის 1962 წლის პირველობა ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ (თბილისი) და „ტორპედო“ (ქუთაისი), 19.45 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა ციკლიდან — „მარტის პლეხუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ“ — „სოფლის აგრონომი“, 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი ნაცნობი კინომსახიობები“. ო. სტრიჟეხოვი, 21.10 — ახალი ამბები, 21.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 22.00 — საესტრადო სატელევიზიო მიმოხილვა „სიმღერით მსოფლიოს გარშემო“.

რადიო

26 მაისი

პირველი პროგრამით

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — რაფსოდიები და პოპური, 09.20 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ოპერა „ჩრდილოეთის პატრიარქიდან“, 11.00 — რადიორეპორტაჟი — „ამას თქვენ გისაყვედურებენ, მშენებლებო“, 11.15 — დვორჟაკის მეხუთე სიმფონია, 12.15 — ქართული ხალხური საცეკვაო მუსიკა, 12.45 — მოლდავური საცეკვაოები, 13.40 — ლისტოვის და ლეპინის სიმღერები, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ვ. გოკელის ოპერა „წითელქუდა“, 18.05 — საესტრადო წარმოდგენა „შაბათ საღამოს“, 18.45 — საფორტეპიანო ნაწარმოებები ს. რახმანინოვის შესრულებით, 19.15 — ქართული პოპულარული სიმღერები, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 20.20 — რადიოჟურნალი „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.05 — ლიტერატურული გადაცემა, 22.35 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

„ჟურავლესნიკის“ სტადიონი
(ვაკე)
25 მაისს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის
„დინამო“ (თბილისი) — „ბორკედო“ (ქუთაისი)
(ძირითადი შემადგენლობა)
დასაწყისი 18 ს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ჩვენი სტუმრები

მხატვრული ტანვარჯიშის მონაწილენი

3. ივანოვა.



ლ. ნაზმუტდინოვა.
მეგობრული შარჟები
გ. ფირცხალავასი.

3. სმოტრინას გამარჯვება

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში.

ეს დღე განკუთვნილი იყო ნებისმიერი ვარჯიშებისათვის. როგორც ვიუწყებოდით სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ წინ იყო „ბურვესტნიკის“ წარმომადგენელი ვ. სმოტრინა. მან ეს უპირატესობა ასპარეზობის ბოლომდე შეინარჩუნა და 58,4 ქულით პირველი ადგილი დიაკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა სალნიკოვი. მესამეზე — კრავჩენკო.

პრეტენდენტთა ტურნირი

კიურასაო, 24 მაისი. (საკადესი). **პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის მეცამეტე ტურში ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ ოთხივე პარტია გადაიდო.**

ყურადღების ცენტრში იყო ფიშერ-პეტროსიანის შეხვედრა. საბჭოთა გროსმაისტერმა, რომელიც შავებით თამაშობდა, გამოიყენა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. ფიშერის ცდა ხელთ ეგდო ინიციატივა და მოეპოვებინა უპირატესობა წარმატებელი ამოჩნდა. შესვენების მომენტისათვის მეორმოცე სვლის შემდეგ პეტროსიანმა მოიპოვა მატერიალური უპირატესობა. ახლა ეტლების დაბოლოებაში, სპეციალისტთა აზრით, საბჭოთა გროსმაისტერს მოგების შანსები აქვს.

ბენკო-კერესის პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე პოზიციით, სადაც ამერიკელ გროსმაისტერს აქვს მეტად რთული ამოცანა — იბრძოლოს ყაიმისათვის.

მხოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა, რომელიც თეორებით თამაშობდა, მტკიცედ შეუტია ტურნირის ლიდერს გროსმაისტერ გელერს. მაგრამ კრიტიკულ მომენტში ვერ გამონახა ძლიერი გაგრძელება. პარტია გადაიდო, გელერს მატერიალური უპირატესობა აქვს.

ფილიპ-კორჩნოის დაუმთავრებელ პარტიაში დაძაბული ბრძოლის შედეგად კორჩნოიმ შეინარჩუნა უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა.

დღეს მე-14 ტურია, რომლითაც მთავრდება მხოფლიო ჩემპიონთან მატჩის რვა პრეტენდენტის საჭადრაკო შეჯიბრების პირველი ნახევარი.

რიგის საერთაშორისო

რიგაში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჩოგბურთში. აქ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები — ნ. მძინარიშვილი, ა. მეტრეველი, რ. აბჟანდაძე და სხვ.

პირად ასპარეზობაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ა. დმიტრიევა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:4, 6:4 დაამარცხა ლ. პრეობრაჟენსკაია და მეოთხეჯერ მოიპოვა ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი. ვაჟთა ასპარეზობაში ასეთივე პრიზი ხვდა ვ. ეგოროვს (მოსკოვი).

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ვაჟთა წყვილების შეჯიბრება. ფინალში თბილისელებმა ნ. მძინარიშვილმა და ა. მეტრეველმა დაამარცხეს პოლონელი ჩოგბურთელები ი. ორლიკოვსკი და პ. იამრიზი 6:3, 6:1, 0:6 და 6:1 და პირველობასთან ერთად პრიზი მოიპოვეს.

ქალთა წყვილებში თბილისელმა რ. აბჟანდაძემ და მოსკოველმა ს. ასპასოვამ მოუგეს ლ. პრეობრაჟენსკაიასა და ა. სოროკინას 6:3, 6:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. შერეულ წყვილთა შორის უძლიერესები იყვნენ ა. დმიტრიევა და ა. პოტანინი.

ამგზავი ჩილიდან

ფეხბურთის ნამდვილი ცეკვა-ცხელებაა ჩილეში — მომდინარეობს უკანასკნელი მზადება, სტუმართა მიღება, ძალთა მოსინჯვა, სპორტული დაზვერვა.

მეტოქეთა ერთი ჯგუფი ადრე ეწვია ჩილის. ესენი არიან უნგრეთის, იტალიისა და შვეიცარიის გუნდები. შემდეგ მათ შეუერთდნენ ბრაზილიის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ესპანეთის გუნდები.

სტადიონების ცენტრალურ და სათადარიგო მოედნებზე მიმდინარეობს წვრთნა, რომლებსაც ათასობით მაყურებელი ესწრება. დიდი ინტერესი გამოიწვია ბრაზილიელთა პირველმა ვარჯიშმა. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ პოლიციელები იძულებული იყვნენ მაყურებლებისაგან „გაეწმინდათ“ მოედანი ვინაა-დელ-მარში.

არც ერთი გარეშე პირი არ დაუშვა წვრთნაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერგერმა. მას განზრახული არა აქვს გახსნას გუნდის საიდუმლოებანი. ჰერბერგერის აზრით პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან ბრაზილიის, ურუგვაისა და არგენტინის გუნდები. შესაძლოა ამ კოლექტივებს სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს სსრ კავშირის გუნდმა. ურუგვაელების შეუფასებლობა შეცდომა იქნებოდა. მწვრთნელის აზრით გერმანიის გუნდი მეოთხედფინალში გავა. პირველი წვრთნის დროს ორმა ფეხბურთელმა კოზლოვსკიმ და შამანიაძმა ტრავმა მიიღეს.

არიკაში პირველად ურუგვაელები ჩავიდნენ. წვრთნის დროს მათი ორი მოთამაშე ერთმანეთს დაეჯახა და ტრავმის გამო ორივე ჰოსპიტალში მოთავსეს.

დუგლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩი ფეხბურთში. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

სსრ კავშირის პირველობაზე

ბაკურიანი. (საკ. კორ.). **ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდებისათვის. დაქალაქის დინამოელები შეხვდნენ თავიანთ ლენინგრადელ თანაკლუბელებს. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 4:0.**

უკანასკნელი ტურის წინ

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ფინიშამდე მხოლოდ ერთი დაბრკოლება დარჩა გადასალახავი. ეს არის უკანასკნელი ტური, რომელიც დღეს გაიმართება სოხუმში.

გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 5 პარტიიდან ორში მეტოქეებს ბრძოლა არ განუახლებიათ. ეს ფინტა-იოვანოვიჩისა და კონარკოვსკა-პოლიქრონიადეს პარტიები იყო. პირველში ფინტამ თავი დამარცხებულად ცნო, მეორეში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

კონვერტის გახსნის შემდეგ ასენოვა-შამეიტატეს პარტიაში მხოლოდ ერთი სვლა იქნა გაკეთებული. გაიმარჯვა ასენოვამ. იოვანოვიჩ-კონარკოვსკას პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ტოგონიძე-ხომფის პარტია.

უკანასკნელი ტურის წინ გაფრინდაშვილს 10 ქულა აქვს, კუშნირს — 9,5 ქულა, ნიკოლაუს — 9 ქულა, ტოგონიძეს — 7,5 ქულა, კაკაბაძესა და პოლიქრონიადეს — ექვსნახევარი ქულა თვითეულს, იოვანოვიჩსა და ჩაიკოვსკაიას — ექვსექვსი ქულა.

თ. გიორგაძე.

კომუნისტი

ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 1-73-24, უცხოეთის — 3-35-01, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05746

საქართველოს კპ